1941 წელს 8 ოქტომბერს დაიწყო გერმანელების დეპორტაცია.

გადასახლებაში ციხეებში აღმოჩნენ მტრად გამოცხადებული ადამიანები, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ გერმანელები იყვნენ. მათი ბედი გაიზიარეს მეუღლეებმაც – ამ კატეგორიის "დამნაშავეთა" შორის იყო გრაფიკოსი, ცნობილი პედაგოგი, მხატვარი ნინო მიხეილის ასული ზაალიშვილი (სურ. 4). იგი ყაზახეთში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად აღმოჩნდა.

მისი მეუღლე, გერმანელი ფლორენტინ ვაისი, შთამომავლობით მექანიკოსთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი იყო, რომლის წინაპარი თბილისში სიმენსების ფირმასთან ერთად ჩამოვიდა და მონაწილეობდა ინდო-ევროპული სატელეგრაფო ხაზის "ლონდონი-თბილისი-კალკუტა" შექმნაში. ფ.ვაისი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის საინსტრუმენტო განყოფილებაში მუშაობდა. ომის დაწყებისთანავე იგი მოხსნეს სამსახურიდან, შემდეგ ისევ აღადგინეს, ისევ მოხსნეს. 1942 წელს მთელი ოჯახი: ფ.ვაისი, მისი ვაჟი პირველი ქორწინებიდან, ნინო ზაალიშვილი ორი პატარა ქალიშვილითურთ ეტაპით, პირუტყვის ვაგონებით ყაზახეთში გადაასახლეს.

ოჯახი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. არ იყო საცხოვრებელი პირობები, საკვები, სუფთა წყალი. სამედიცინო დახმარება. თითო ყლუპი წყლის ადუღებას უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდა. აგროვებდნენ ბალახის დიდ ბულულებს და წვავდნენ, რათა შეძლებოდათ დასალევად ვარგისი წყლის ადუღება. ნინო ზაალიშვილის ყაზახეთში შექმნილი ჩანახატის 1956 წლით დათარიღებული ასლი ამგვარი უზარმაზარი ბულულების ზიდვას ასახავს (სურ. 8). ყაზახეთში გატარებულმა წლებმა მძიმე დაღი დაასვა ნინო ზაალიშვილის ჯანმრთელობას. მისი სიკვდილის მიზეზიც იქ მიღებული ტრავმები გახდა. გარკვეული ხნის შემდეგ შუა აზიაში გადასახლებული ვაისების ოჯახი სამშობლოში დააბრუნეს. ფ.ვაისს, როგორც უნიკალურ სპეციალისტს, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ობსერვატორიის ფუნქციონირება შუამდგომლობა გაუწიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ.მუსხელიშვილმა, აკადემიკოსმა ე.ხარაძემ და სხვებმა.

სამშობლოში დაბრუნებული ნინო ზაალიშვილი მუშაობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხატვის კათედრაზე. ხატავს პორტრეტებს, კომპოზიციებს. მონაწილეობს გამოფენებში. სერგო ქობულაძე 1965 წელს დაწერილ დახასიათებაში ამბობს: "..შექმნილი ცხოვრებისეული გარემოებების გამო ნინო ზაალიშვილს შემოქმედებით ცხოვრებაში გარკვეული წყვეტილობა იყო, რომელიც ახლა გარკვეულწილად აღდგა." იგი დიდად აფასებდა მის სამეცნიერო ნაშრომს "ემოციის გამოვლენა მიმიკასა და პოზაში". ამ ნაშრომის მომზადებისას მხატვარს გამოადგა გადასახლებაში შესრულებული იქაური ყოფის ამსახველი ნახატები, პორტრეტები, რომლებიც, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა.

SOVLAB